# ირიბი ჩვენების გამოყენების შესაძლებლობა სასამართლოს განაჩენში

**მეგი შამათავა**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზაზა მეიშვილი, სამართლის დოქტორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2024**

# განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

მეგი შამათავა

25.06.2024

# აბსტრაქტი


წინამდებარე კვლევაში გაანალიზებულია ირიბი ჩვენების დასაშვებობის და მისი, როგორც მტკიცებულების განაჩენში გამოყენების შესაძლებლობა. ნაშრომს საინტერესოს ხდის საერთო სასამართლოებისა თუ უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზი, რითაც ცხადი ხდება, რომ საკანონმდებლო ცვლილებების გარეშე ირიბი ჩვენების განაჩენში გამოყენების საკითხი ინტერპრეტირების საგანია.

ნაშრომში ასევე განხილულია რამდენიმე ევროპული ქვეყნის საკანონმდებლო ჩანაწერი ირიბ ჩვენებასთან დაკავშირებით და კიდევ უფრო ვრცლად არის გაანალიზებული ამერიკის შეერთებული შტატების საკანონმდებლო ჩანაწერი ირიბი ჩვენების დასაშვებობაზე.

მოცემული ნაშრომის მთავარი მიზანია იმ სამართლებრივი ხარვეზების წარმოჩენა, რაც გამოწვეულია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ შესაბამის მუხლში საგამონაკლისო შემთხვევების არ გათვალისწინებით.

კვლევის შედეგად დასტურდება, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებული ჩანაწერი ირიბი ჩვენების დასაშვებობაზე და მისი განაჩენში გამოყენებაზე არ არის სრულყოფილი და საჭიროებს საკანონმდებლო ორგანოს მხრიდან შესაბამის მუხლში ცვლილებების შეტანას.

ნაშრომი მოიცავს რეკომენდაციას საკანონმდებლო ორგანოსადმი, რომელიც ემსახურება ირიბი ჩვენების დასაშვებობის საგამონაკლისო შემთხვევების განსაზღვრას, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.



**ძირითადი საძიებო სიტყვები:** ირიბი ჩვენება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, განაჩენი, მტკიცებულება, საკონსტიტუციო სასამართლო.

# Abstract

The master's thesis discusses the possibility of admissibility of hearsay evidence and its use as evidence in the verdict.

The analysis of the judgment provided by the common courts and the Supreme Court makes the master's thesis interesting. Based on the analysis, it becomes clear that the issue of using indirect testimony in the judgment without legislative amendmets is a matter of interpretation.

The master's thesis also discusses the legislation of the United States of America on the admissibility of circumstantial evidence.

The main goal of this master's thesis is to present legal shortcomings. legal shortcomings exist do to the fact that no amendments were made to the law and exceptional cases of indirect testimony were not taken into account.

As a result of the master's research, it is confirmed that the existing record in the Criminal Code on the admissibility of indirect testimony and its use in the verdict is not complete and needs to be amended by the legislative body in the relevant article.

The master's thesis includes a recommendation to the legislative body to reflect the exceptional cases of admissibility of circumstantial testimony in the law, in accordance with the decision of the Constitutional Court and the standards established by the European Court of Human Rights.

**Key search words**: indirect testimony, European Court of Human Rights, judgment, evidence, Constitutional Court.